www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2021 წელი

29.03.2022
www.geostat.ge

29.03.2022

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოკვლევის ძირითადი შედეგები
(2021 წელი)

2021 წელს საქართველოში 469 ერთეული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ერთეულების გარეშე) ფუნქციონირებდა[1], რომლის 46.3 პროცენტი ქ. თბილისში, 25.8 პროცენტი - აჭარაში, 8.1 პროცენტი - ქვემო ქართლში, 7.7 პროცენტი - იმერეთში, 3.2 პროცენტი - კახეთში, 3.2 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო 3.2 პროცენტი დანარჩენ რეგიონებშია განთავსებული:

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2021 წელი



2021 წელს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ შესყიდული და გაყიდული ვალუტის მთლიანმა ბრუნვამ 6.4 მლრდ. ლარი შეადგინა, საიდანაც 51.8 პროცენტი - აშშ დოლარზე, 14.7 პროცენტი - ევროზე, ხოლო 33.5 პროცენტი სხვა ვალუტაზე მოდის[2].

[1] მოიცავს იმ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობას, რომლებიც რეგისტრირებული იყო 2022 წლის დასაწყისში და ამასთან, წარმოადგენდა აქტიურ საწარმოს (უფიქსირდებოდა ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა ან გაცემული ხელფასი) 2021 წლის მიხედვით. დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები ასახავს აღნიშნული ობიექტების გამოკვლევის ძირითად შედეგებს.

[2] კონვერტირებული ლარში, 2021 წლის ბოლოსთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

29.03.2022

ცხრილი №1

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოკვლევის ძირითადი შედეგები, 2021 წელი

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:		
			აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა
ბრუნვა სულ (მლნ. ლარი)*	1	6 366.0	3 294.2	936.6	2 135.2
მათ შორის:					
ყიდვა (მლნ)	2	X	543.0	135.3	1 072.6
გაყიდვა (მლნ)	3	X	520.5	132.0	1 062.6
საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი (მლნ. ლარი)	4	10.1	3.9	1.2	5.0
კლიენტთა რაოდენობა სულ (ერთეული)	5	1 663 847	X	X	X
მათ შორის:					
იურიდიული პირები (ერთეული)	6	13 304	X	X	X
აქედან:					
ბანკები (ერთეული)	7	70	X	X	X
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (ერთეული)	8	146	X	X	X
ფიზიკური პირები (ერთეული)	9	1 650 543	X	X	X
მათ შორის:					
ადგილობრივი (ერთეული)	10	1 417 358	X	X	X
უცხოელი (ერთეული)	11	233 185	X	X	X
ნაღდი ფული (მლნ. ლარი)	12	29.7	11.0	3.2	15.6
ბანკებში არსებული ფულადი სახსრები (მლნ. ლარი)	13	1.8	1.2	0.0	0.6
მათ შორის:					
რეზიდენტ ბანკებში (მლნ. ლარი)	14	1.8	1.2	0.0	0.6
არარეზიდენტ ბანკებში (მლნ. ლარი)	15	0.0	0.0	0.0	0.0
აღებული სესხები (მლნ. ლარი)	16	83.8	32.9	3.2	47.7

შენიშვნა: მეორე და მესამე სტრიქონში, აშშ დოლარი და ევრო წარმოდგენილია ნომინალის გათვალისწინებით.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ 2021 წელს შეძენილ იქნა 543.0 მლნ. აშშ დოლარი და 135.3 მლნ. ევრო. იმავე პერიოდში გაყიდული აშშ დოლარისა და ევროს მოცულობა კი შესაბამისად შეადგენდა 520.5 და 132.0 მილიონს.

2021 წლის განმავლობაში ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა მომსახურება გაუწიეს 1 664 ათას კლიენტს, საიდანაც 1 651 ათასი ფიზიკური, ხოლო 13 ათასი - იურიდიული პირია. იმ ფიზიკური პირებიდან, რომელთაც გაეწიათ მომსახურება, 85.9 პროცენტი ადგილობრივი, ხოლო დანარჩენი 14.1 პროცენტი - უცხოელია.

2021 წელს სალაროში არსებული ნაღდი ფულის მოცულობა (კონვერტირებული ლარში) 29.7 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 37.0 პროცენტი აშშ დოლარზე, 10.7 პროცენტი ევროზე, ხოლო 52.3 პროცენტი სხვა ვალუტაზე მოდის. ბანკებში არსებული ფულადი სახსრების მთლიანი მოცულობა (1.8 მლნ.) სრულიად ნაწილდება მხოლოდ რეზიდენტ ბანკებზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge